ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N226

CPV: 72212224 - პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება ვებგვერდის რედაქტირებისათვის

ქ. მცხეთა ნოემბერი 2019 წელი

ერთის მხრივ, სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი (შემდგომში - შემსყიდველი), მისი დირექტორის თეიმურაზ ასათიანის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. ,,ვებმეიქერი'' (შემდგომში- მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის დავით გოგიძის სახით ვხელმძღვანელობთ რა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ს[1]'' ქვეპუნქტისა და სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ლოჯისტიკის სპეციალისტის 2019 წლის 15 ნოემბრის N1535162 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია გაეროს განვითარების პროგრამის საგრანტო დაფინანსების სახსრებით "პროფესიული განათლებისა და ექსტენციის მოდერნიზება საქართველოს სოფლის მეურნეობაში (ფაზა 2) ფარგლებში მიმდინარე ტრაქტორისტ-მემანქანის მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამის მიზნებისათვის კოლეჯის ვებ-გვერდის განახლების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2. შესყიდვის ობიექტია სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ვებ-გვერდის tmk.edu.ge განახლების მომსახურება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) ასახული უნდა იყოს, საგანმანათლლებლო დაწესებულების მიზნებისათვის განკუთვნილი სტრუქტურა;

ბ) მარტივი და აღქმადი ნავიგაცია;

გ) ფოტო და ვიდეო ვიზუალიზაცია;

დ) ოპტიმიზებული გრაფიკული კომპონენტები;

ე) სიახლეების დამატების ფუნქციონალური გამართულობა;

ვ) ვებ-გვერდის მართვა არასპეციალისტის მიერ.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 1 930 (ერთი ათას ცხრაასოცდაათი) ლარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანმდევი ხარჯებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით;

2.3. ხელშეკრულების ღირებულება შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

N	მომსახურების დასახელება	ფასი
1	საინფორმაციო ფანჯარა (Event Modal)	130
2	ფოტო-ვიდეო გალერიის გადმოტანა (Index Page)	190
3	საძიებო ველის ვიზუალური და ფუნქციონალური ცვლილება	190
4	სიახლეებისათვის დამატებითი ფუნქციონალი	190
5	პარტნიორების სექციის დამატება	190
6	ფილიალების გვერდის დამატება	190
7	გრაფიკული კონტენტის ოპტიმიზაცია (Image Compres, Lazy Load)	150
8	SEO ოპტიმიზაცია	300
9	Adaptive User Interfaces - ვებგვერდისთვის	150

10	SSL სერთიფიკატი	250
ჯამი დღგ-ს ჩათვლით		**1930**

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. მცხეთა, სოფელი წინამძღვრიანთკარი, სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი;

4.3. ვებ-გვერდის სატესტო ვერსიის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღე, 2019 წლის 22 ნოემბერი, ხოლო სრული ვერსია გაშვებული უნდა იქნას ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, 2019 წლის 29 ნოემბრის ჩათვლით.

4.4. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი.

4.5. მომსახურების დასრულების შემდეგ მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა გადასცეს ყველა საჭირო დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია რაც აუცილებელია ვებგვერდის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის.

4.6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ან/და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია კოლეჯის ლოჯისტიკოსი ედიშერ მიდელაშვილი.

5.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.

6.2. ხელშეკრულების ფარგლებში შესაძლებელია განხორციელდეს ორი სახის ანგარიშსწორება: ეტაპობრივი ან/და საავანსო;

6.3. ეტაპობრივი ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.3 პუნქტით გათვალისწინებული პოზიციებისა და ღირებულებების მიხედვით მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.4 საავანსო ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს მიმწოდებლის მოთხოვნის საფუძველზე, ხელშეკრულების ღირებულების 100%-ის ოდენობით, ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.5 პუნქტით გათვალისწინებული საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;

6.5. საავანსო ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში „მიმწოდებელმა“ უნდა წარმოადგინოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან ს.ს.ი.პ. „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან გაცემული საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა განსაზღვრული უნდა იყოს 2019 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

6.6. გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში - ლარში. უცხოური ბანკიდან საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში მასთან ერთად მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს

ზემოაღნიშნული საბანკო გარანტიის საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან გაცემული „კონტრგარანტია“ (ლარში). საბანკო გარანტია და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე).

6.7. ავანსის სახით გადახდილი თანხის გაქვითვა მოხდება გაწეული მომსახურების ღირებულიდან, გაწეული მომსახურების ღირებულების სრული მოცულობით;

6.8. ავანსის სახით გადახდილი თანხის გაქვითვის შემდეგ, შემსყიდველი ვალდებულია გარანტიის დაბრუნების თაობაზე მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში დაუბრუნოს მიმწოდებელს საავანსო გადახდის უზრუნველყოფის გარანტია და/ან მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

8.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების ამ მუხლში.

8.3. შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ყოველვადაგადაცილებულ დღეზე დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;

8.4 მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მახარე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

8.5 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ხელშეკრულების შეწყვეტის გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი;

8.6 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

8.7 შემსყიდველი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებლის მიერ მიწოდების საბოლოო ვადის 10 (ათი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

8.8 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მიმწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ოდენობით;

8.9. თუ შემსყიდველი დარწმუნდება, რომ მიმწოდებლის მიზეზით შეუძლებელია შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე, შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელი დააჯარიმოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს ოდენობით.

8.10 ამ მუხლის 8.7 პუნქტში მითითებული რომელიმე გარემოებით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება;

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2019 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით და/ან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირი.

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული შესყიდვის ობიექტის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

15. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტში მითითებული პირი ადასტურებს, რომ მისი მონაწილეობა წინამდებარე ხელშეკრულების ინსპექტირების განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და მიმწოდებლის მიმართ ინტერესთა კონფლიქტში არ იმყოფება _____.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი''; ქ. მცხეთა, სოფელი წინამძღვრიანთკარი; საიდენტიფიკაციო კოდი: 236098851 სახელმწიფო ხაზინა; კოდი: TRESGE22; ელ. ფოსტა: tmkcommunitycollege@tmk.edu.ge; მობ.: 577-21-50-90; 577-21-50-91;

დირექტორი თეიმურაზ ასათიანი

LEPL - ILIA TSINAMDZGVRISHVILI COLLEGE

Digitally signed by LEPL - ILIA TSINAMDZGVRISHVILI COLLEGE
Date: 2019.11.18 10:53:16 +04'00'

(ხელმოწერა)

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. ,,ვებმეიქერი''; ს/ნ:400147202; მისამართი: ქ. თბილისი, დიდი ჯიხაიას II ჩიხი, N4გ; ტ: 595 24 34 36; საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,თიბისი ბანკი; ბანკის კოდი:TBCBGE22; ანგ.ნომერი: GE04TB7272036080100002

დირექტორი დავით გოგიძე

(ხელმოწერა)